



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

29 აგვისტო 2011 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 126

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისთვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის, 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ჩ“, 57-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 57-ე მუხლის მე-4 პუნქტის და „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“-ს II-ე თავის შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრების გამოყენების შემდეგ, მათი მიღება-გამოყენების კანონიერების, მიზანშეწონილობისა და ეფექტიანობის დადგენის მიზნით, დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას მოახდინოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის (საკრებულოსა და გამგეობის) მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საფინანსო შემოწმება 2011 წლის 1 იანვრიდან 1 სექტემბრამდე განხორციელებული საქმიანობის მიმართ.
2. საფინანსო საბიუჯეტო კომისია უფლებამოსილია საფინანსო შემოწმების პროცესში კომისიაში მოიწვიოს სხვადასხვა დარგის სპეციალისტები.
3. საფინანსო შემოწმების ვადა განისაზღვროს 2011 წლის 30 ოქტომბრამდე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის:ქ. ოზურგეთისიორიძის ქ.№14).
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი